АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ИНСТИТУТ ИСТОРИИ

П. ИНГОРОКВА

ИСТОРИЧЕСКИЕ ПАМЯТНИКИ СВАНЕТИИ

выпуск второй

ТЕКСТЫ

ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
Тбилиси
1941

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ИНСТИТУТ ИСТОРИИ

П. ИНГОРОКВА

ИСТОРИЧЕСКИЕ ПАМЯТНИКИ СВАНЕТИИ

выпуск второй

ТЕКСТЫ

ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
Тбилиси
1941

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდიუმის განკარგულებით

რედაქტორი აკად. ს. ჯანაშია

შემოწმებულია 1952 წ.

ხელმოწერილია დასაბეჭდ. უკ. ფ. 8.8.41
ბეჭდურ ფორმათა რაოდენობა 11 ფორ.
ბეჭდურ ფორმაში 52 ათასი სასტ. ნიშ.
შეკვ. № 1098; უე 35365; ტირაჟი 800

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა
ა. წერეთლის ქ. № 7

წინასიტყვაობა

«სვანეთის საისტორიო ძეგლები» გამოქვეყნდება სამ ნაკვეთად.

პირველ ნაკვეთში შედის:

1. აღწერილობა სვანეთში დაცულ ძველ-ქართულ ხელნაწერებისა;
2. გამოკვლევა სვანეთის საისტორიო აქტებისა;
3. გამოკვლევა ძეგლისა: მატიანე სუანეთისა კრებისაჲ.

მეორე ნაკვეთში შედის—ტ ე ქ ს ტ ე ბ ი:

1. სვანეთის საისტორიო აქტები;
2. მატიანე სუანეთისა კრებისაჲ.

მესამე ნაკვეთში შედის:

1. სვანეთის ეპიგრაფიკა;
2. ნარკვევი სვანეთის ისტორიული გეოგრაფიისა და მოსახლეობის შესახებ საშუალ-საუკუნეებში.

ამჟამად პირველ რიგში ვაქვეყნებთ მეორე ნაკვეთს.

პ. ინგოროყვა

15 ივლისი, 1941 წ.

ქ. თბილისი

16. დაწერილი ყმად თავის დათვლისა იონაშის ეკლესიისადა და ჴევისადა აბლანთა სახლისა. 15 საუკ. 19
17. დაწერილი შვილობისა (ყმად თავის დათვლისა) ლახამლელთა ჯიდის ეკლესიისადა და ჴევისადა ალამდამა სკიზიანისა. 15 საუკ. 19
18. მოხსენება ჴევის მებეგრესი სრულიად სვანეთის ჴევის მიმართ და ჴევის ბრძანება. 15 საუკ. 20
19. წიგნი ბულღარ ჭედელიანის საქევო ბეგარისა. 15 საუკ. 21

III. აქტები თემისა და პატრონთა ცილობის შესახებ.

20. დაწერილი ქუეყნისა სამაგრობელი სეტის ჴევის სამი თემისა სასოფლო მიწებზე ცილობის გამო ჴევსა და ჴევის თავად ჯაფარაიძეს შორის. 15 საუკ. 25
21. დაწერილი პატრონის ჯაფარაიძისა სეტის ჴევისადმი სასოფლო მიწებზე ცილობის გამო. 15 საუკ. 25
22. წიგნი სამაგრობელი ერთობილ სეტის ჴევისა პატრონის ქურდიანის შემოკვდომის გამო. 15 საუკ. 26
23. დაწერილი საერთო სასაერთპირი ერთობილ ლაჰილის სოფლისა. 14—15 საუკ. 26
24. დაწერილი ერთობილ ლაჰილის სოფლისა «უწესურ» საქმეთა გამო. 14—15 საუკ. 27
25. დაწერილი სასაერთპირი ცხმარის ჴევისა დამნახველთა (ჯაშუშთა) წინააღმდეგ. 15 საუკ. 28
26. სიგელი სასჯელის დადებისა ცხმარის ჴევზე მეფისა და დადიანის ბრძანებით ცაიშელ მთავარ-ეპისკოპოსის მიერ. 1442—1452 წწ. . 28

IV. წიგნი სასისხლო საქმისა ბელას-ზემო სვანეთსა და თავად ჯაფარიძეთა შორის

27. წიგნი სასისხლო საქმისა ბელას-ზემო სვანეთსა და თავად ჯაფარიძეთა შორის 1490—1503 წლებში 31

V. სათემო აქტები ბელას-ზემო სვანეთისა

28. წიგნი ფიცისა (საკავშირო ხელშეკრულება) ბელას-ზემო სვანეთის თემთა. 15 საუკ. 37
29. დაწერილი «საგმობი» [დანაშაულთა] ბელას-ზემო სვანეთის ჴევისა. 15—16 საუკ. 37
30. დაწერილი ჴევის ჴელისუფალისა («მეჭურჭლისა») ბელას-ზემო სვანეთის ჴევის მიმართ ჴელისუფლად დადგინების გამო. 15 საუკ . . 38

VI-ა. სათემო აქტები სვანეთის ცალკე ჴეობათა. სეტის ჴევის სათემო აქტები

31. დაწერილი ქუეყნისა სამაგრობელი ერთობილისა სეტის სოფლისა. 14—15 საუკ. 43
32. დაწერილი საერთი სასაერთპირი სეტის ჴევის ოთხისა თემისა. 14—15 საუკ. 43

33. დაწერილი ქუეყნისა სამაგრობელი ერთობილისა სეტისა ჯევისა. 14—15 საუკ 44
34. დაწერილი ერთობისა და გაუყრელობისა ერთობილისა სეტისა ჯევისა. 14—15 საუკ. 45
35. დაწერილი ერთობილისა სეტისა და ლალამის ჯევისა თემის უკითხავად ოსეთს წამსვლელთა და ჰავის სენის შემომტანთა წინააღმდეგ. 14—15 საუკ. 46
36. დაწერილი ერთობილისა სეტისა და ლალამის ჯევისა იბარის (ჯარიმის) დადებისათვის თემის უკითხავად ოსეთს წამსვლელთა და ჰავის სენის შემომტანთა ზედა. 14—15 საუკ. 46
37. წიგნი ფიცისა (საკავშირო ხელშეკრულება) სეტისა და მულახის ჯევთა შორის ჩარქასთა შემოსევის დროს დადებული. 15 საუკ. . . 47
38. წიგნი ფიცისა (საკავშირო ხელშეკრულება) სეტისა და მულახის ჯევთა შორის (მეორეგზის განახლებული). 15 საუკ. 47
39. დაწერილი მოწყობისა სეტიელთა და ლენჯერის მონადირეთა შორის დადებული. 15 საუკ. 48
40. დაწერილი საქმისა ბოლომოღებულობისა იანაშელთა (ლატალის ჯეველთა) და მიქაელ სეტიელს შორის. 15 საუკ. 48
41. წარკუეთილი გარდაწყუედილობისა მულახ-მუჟალვის და სეტის ჯევთა ბერა ყიფიანის სისხლის საქმის გამო. 14—15 საუკ. 49
42. წარკუეთილი გარდაწყუედილობისა კორძიანთა დაწერილი სეტის ჯევისადა და ჯევის შესავალ ფაჩიანისადა კიმშონ კორძიანის სისხლის საქმის გამო. 14—15 საუკ. 49
43. დაწერილი სასაერთპირი ერთობილისა სეტისა ჯევისა იოსელიანჯირისატ´ის სისხლის საქმის გამო. 14—15 საუკ. 50
44. დაწერილი ვაჰრობისა და მკვიდრად ნაცვალისა ერთობილ სეტის ჯევსა და თევდორე მუტულანს შორის. 14—15 საუკ. 51
45. დაწერილი შემოვედრებისა სეტის ეკლესიისადა და ჯევისადა ძმათა გელოვანთა. 1600—1637 წწ. 51
46. დაწერილი სეტის ჯევისა, ოდეს დოდილ ჰედელანს სათიფი მისცა. 14—15 საუკ. 52
47. დაწერილი სეტის ჯევისა, ოდეს ბიყას ციხის შესავალი უსაზღვრა. 15 საუკ. 52
48. დაწერილი (პირველი) სეტის და ლალამის ჯევთა სათემო ეკლესიის საქმეთათვის. 14—15 საუკ. 53
49. დაწერილი (მეორე) ერთობილისა მესეტისა ჯევისა სათემო ეკლესიისადა, ოდეს თემმა ახალი სათემო ეკლესია (ჯიდისა საყდარი) ააშენა. 14—15 საუკ. 53
50. დაწერილი (მესამე) სეტის ჯევისა სათემო ეკლესიის საქმეთათვის და სათემო ეკლესიის შესავალთათვის. 14—15 საუკ. 54
51. წიგნი სადიდებელი, დაწერილი ერთობილისა სეტისა ჯევისა, ძნელი სენის შემოსლვისა და საკირის აგების გამო. 14—15 საუკ. . 55
52. აღწერა სეტის სათემო ეკლესიის ხატთა. 14—15 საუკ. 56

94. წარკუეთილი გარდაწყუედილობისა იოსელიანისა და ივანე სეტი-ელის სახლთა შორის. 14—15 საუკ. 86
95. წარკუეთილი გარდაწყუედილობისა ივებიანისა და ივანე სეტიელის სახლთა შორის. 14—15 საუკ. 87
96. წარკუეთილი გარდაწყუედილობისა მაჭავარიანისა და ივანე სეტი-ელის სახლთა შორის. 14—15 საუკ. 87
97. დაწერილი გარდაწყუედილობისა აბუგიანისა და იაკობ სეტიელის სახლთა შორის. 15 საუკ. 88
98. დაწერილი პირობისა ჯუმუთიანსა და იაკობ სეტიელს შორის. 15 საუკ. 88
99. დაწერილი მოწყობისა და საქმისა ბოლო-მოღებისა ჯაფარაისძისა და იაკობ სეტიელის სახლთა შორის. 15 საუკ. 89
100. წარკუეთილი გარდაწყუედილობისა ხრთაგიანისა და იაკობ სეტი-ელის სახლთა შორის. 15 საუკ. 89
101. დაწერილი ერთსახლობისა და გაუყრელობისა კილამუშელის და მიქაელ სეტიელის სახლთა შორის. 15 საუკ 90
102. დაწერილი გარდაწყუედილობისა (მესამე) ვაჟილა ვახდანგიანისა და მიქაელ სეტიელის სახლთა შორის. 15 საუკ. 91
103. დაწერილი გარდაწყუედილობისა და მოწყობისა (მეოთხე) ვაჟილა ვახდანგიანისა და მიქაელ სეტიელის სახლთა შორის. 15 საუკ. . 91
104. დაწერილი გერშის დაურვებისა საგილა უხოჯელიანის და დემეტ-რე სეტიელის სახლთა შორს. 15 საუკ. 9

VII-ბ. კერძო აქტები

105. დაწერილი მოწყობისა ქურდიანის და ფალიანის სახლთა შორის. 14 საუკ. 95
106. წარკუეთილი გარდაწყუედილობისა და ბოლომოღებულობისა გო-ბეჩვიანთა და ჯაფარისძის სახლთა შორის. 14—15 საუკ. 95
107. დაწერილი ერთობისა და ერთსახლობისა გოროლანთა. 14—15 საუკ. 96
108. დაწერილი გარდაწყუედილობისა სავიანთა და [-----] და დუდილა და არჯევანს შორის. 14—15 საუკ. 97
109. დაწერილი გაუყრელობისა ძმათა ფალიანთა. 15 საუკ. 97
110. დაწერილი გოშგოთელიანსა და სავიანთა შორის. 15 საუკ. . . . 98
111. დაწერილი შეწირულობისა ლაჰილის ეკლესიისადა და ალაპის გაჩე-ნისა ლაზარე და მარინა შაურეგიანთა. 14—15 საუკ. 99
112. დაწერილი ნასყიდობისაი ცოტნე გელანისა. 15 საუკ. 100
113. დაწერილი ნასყიდობისა (სოფელ ქურაშიდან). 14—15 საუკ. . . 101

VIII. ფრაგმენტები

114. ფრაგმენტი I (სეტის ჴევიდან). 14 საუკ. 105
115. ფრაგმენტი II (სეტის ჴევიდან). 14—15 საუკ. 105

116. ფრაგმენტი III (სეტის ჭევიდან). 14—15 საუკ. 105
117. ფრაგმენტი IV. 14—15 საუკ. 106
118. ფრაგმენტი V (კალის ჭევიდან). 14—15 საუკ. 106

IX. გვიანი დროის სვანური აქტები (17—18 საუკ.)

119. დაწერილი ერთობილთა იონაშელთა იონას ეკლესიის კლიტეს მცველისათვის 109
120. ფრაგმენტი (დაწერილი სყიდულობისა) 109
121. დაწერილი რატიანთა 109
122. დაწერილი სეტელთა 110
123. დაწერილი ხერგიანთა 110

X. მეფისა და დადიანისეული აქტები 13—14 საუკუნეთა

124. სიგელი კონსტანტინე [მეფ]ისა გოშქოთელიანისათვის დაწერილი, ხორხომელისძის ნასისხლად ბოძების გამო. 13—14 საუკ. . . 113
125. დაწერილი შეწირულობისა სეტის ეკლესიისადა ერისთავთ-ერისთავ მანდატურთ-უხუცეს ხაჲიგ დადიანისა. 14 საუკ. 113
126. დაწერილი შეწირულობისა ქურაშის ეკლესიისადა ერისთავთ-ერისთავ მანდატურთ-უხუცეს ხაჲიგ დადიანისა. 14 საუკ 114

ნაწილი მეორე

მატიანე სუანეთისა კრებისა.

თემები და სოფლები:

I ლალავერი 118
II კიჩხლდაში 119
III ლახამლი 120
IV ლეშტერი 121
V მაჲ 123
VI ლჰა 129
VII ეცერი 130
VIII კალაში 141
IX ცხმარი 142
X ებუდი 146
XI დოლი 149
XII ბეჩუ 152

ნაწილი პირველი

აქტები

I. სათემო აქტები სრულიად სვანეთისა (1—5).
II. აქტები პატრონ-ყმობისა (6—19).
III. აქტები თემისა და პატრონთა ცილობის შესახებ (20—26).
IV. წიგნი სასისხლო საქმისა ბელას-ზემო სვანეთსა და თავად ჯაფა-რიძეთა შორის (27).
V. სათემო აქტები ბელას-ზემო სვანეთისა (28—30).
VI. სათემო აქტები სვანეთის ცალკე ჯეოგათა (31—76).
VII. კერძო აქტები (77—113).
VIII. ფრაგმენტები (114—118).
IX. გვიანი დროის სვანური აქტები (119—123).
X. მეფისა და დადიანისეული აქტები 13—14 საუკუნეთა (124—126).

I

სათემო აქტები

სრულიად სვანეთისა

(«ლალვერსა და უშქულს შუა კევი»-სა)

(1—5)

2

დაწერილნი
სრულიად სვანეთის ქევის
[მამის] (=„მამა-სახლისის“) და «მელომე»-ს (=დროშის უფროსის)
არჩევის გამო

დრო: მე-14 საუკუნის ბოლო.
მდივან-მწიგნობარი: ანტონ.

ა

ⴃⴀⴜⴄⴐⴈⴊⴈ ⴄⴐⴇⴍⴁⴈⴊ ⴕⴄⴅⴈⴑⴀ

ქ —— მთავარ მოწამისა სეტისა თავსმდებობითა და შუამდგომელობითა დაგიწერეთ და მოგაჴსენეთ თქუენ ვახთაგ̇იანსა ბენდანსა და შენსა ცოლსა მარიამს ჩუენ ⌜ერ⌝თობილმან ლალვერს და უშქულს (შუამან) ქევმან მტკიცე და უქცეველი, ყოვლისა მიზეზისაგან უმიზეზო, რასა გინდა ჟამისა [შემოს]რულობისთჳს შეუცვალებელი, მას ჟამსა, ოდეს შენითა ნებითა მთავარ მოწამე სეტისა და ერთობილი ქევი გვიშვილე. [აწ] ვითა ეგრე შვილებულსა გუმართებს ეგრე საპატი[ოდ ჩუენცა] შენი პატივი გავათაოთ. თავად ვითა შენისა გუარისა [-----]სა სახლსა ჰქონებია, ეგრე მელომედ დაგაყენ[ოთ. ვიდრე] შენ ბენდანი ცოცხალ იყო, მანამდინ არც მ[---------]მისა ბეგარი, არც რაი სხუაი საციხური (?) არა გ⌜თხო⌝[ვოთ, არ დიდი, არცა] პატარაი. ⌜ვისც წაეკიდო, თავდადებ[------------]. შენი საქმე არვის ვათნიოთ, არ მამამან შვილ[სა, არცა ძმამან] ძმასა. ვისც წაეკიდო, რაც იმას საქმე მოჰყვ⌜ეს⌝, იმისი პირი და პასუხისა გამცემი და გარდამ⌜--ლე⌝[----------] ქევი ვართ. თუ ვის შეაკუდე, ანუ შენ [-------------] ური სრული სისხლი გარდავაქდევინოთ ⌜მ⌝[--------- მოი]⌜სპ⌝ოს უშქულს და ლალვერს [-------------------]. ოდესც დაგეჭიროს, ლომი ⌜მოიტანო⌝[-----------------------] მომართებ[--] ეგრე შენ საქმე [-------]მ[------------------------------] გიამ[-----]

ამისა გათავე[ბისა თავსდებად---

(ბოლო აღარ გაირჩევა)

ბ

ⴃⴀⴜⴄⴐⴈⴊⴈ [ⴋⴀⴋⴈⴑⴀ] ⴃⴀ «ⴋⴄⴊⴍⴋⴄ»-ⴑⴈ

ქ —— მთავარ მოწამისა სეტისა თავსმდებობითა და შუამდგომელობითა დაგიწერე და მოგაჴსენე დაწერილი ესე თქუენ თავად მთავარ მოწამესა და ერთობილსა ქევსა მე ვახთანგიანმან ბენდე და ჩემმან ცოლმან მარიამ მტკიცე და უქცეველი, ყოვლისა მიზეზისაგან უმიზეზოი, რაისა გინდა ჟამისა შემოსრუ̂ლობისთჳს შეუცვალებელი, მას ჟამსა, ოდეს ჩემითა ნებითა მთავარ

4

დაწერილი

სრულიად სვანეთისა კევისა

[კეობის გამტეხელთათვის ?]

დრო: მე-14 საუკუნე.

[-----------------] მთავარ მოწამისა ს ე ტ ი ი ს ა [თავსდებობი]-
[თა და შუა]მდგომელობითა, მ[აცხოვრისა] ლ ა [ტ ა] ლ ი ს ა, მთავ[არ-ანგელო]-
[ზისა მ ე ზ ე]რ ი ს ა, მთავარანგელოზისა ფ ხ ⸢ ო ტ ⸣[რ ე ლ ი ს ა] და მთა-ვარმო[წამისა]
[ს უ] ფ ი ს ა და ყოველთა ⸢ღმრთისა წმიდათა თავსდებობითა და შუ⸣[ამ-დგომე]-
[ლო]ბითა, დაუწერ[ეთ] და დავდ[ევით] ჩჱენ ე[რ]⸢თობ⸣[ი]ლმ⸢ან⸣ ⸢კეუმან⸣ ლ [ა ლ]-
[ვ ე] რ ს შე⸢მო⸣ღმ[ართ და უ] შ ქ უ ლ ს ჩ⸢ამო⸣ღმ[ართ], ერ[თ]მ[ან]ე[რთისა ნდომითა],
[მტკი]⸢ცე⸣ და უ⸢ქც⸣ევე[ლი], ყოულ⸢ისა მიზ⸣[ეზისაგან] უმიზეზო[ი, რაისა გინდა]
[ჟამისა] შემო[ს]რულ[ობი]⸢სა⸣თვის შე[უ]ცვა[ლებელი], მას [ჟა]მსა, ო[დ]ეს კ[---------]
[-----]ოლი ვიყ[უე]ნი[თ] ჰა⸢უა⸣დ მოგ[---------]დ ს ვ ა ნ [ე თ ი] ს ა [---------------]
[------] ს ე ტ ი ა ს უკ[---]რე[-]თ [---]არ[----] კ[ე]ვ[--] [-]ვა[---------------------]
[------]მ[---] ესე [-----] დასკუ[ნ]ილ⸢ი⸣ [-----]⸢მ⸣[---]ს კევ[----]ც [---------------]
[------]სამან ამას [----]მოგ[------]⸢ე⸣ქ[------] იყო[--] ჩჱენ [----------]
⸢სა⸣ გაგ[იძ]ლვე⸢თ⸣ [--]ლვათ და ამოუწ⸢ყუი⸣დოთ ქ უ ე მ ო ს ა კ [ე ვ ს ა ვინცა]
[ი]მყოფებოდეს; [თ]უ ზ ე მ ო ს ა კ ე ვ ი ს ა იყოს ჩჱენ ზ ე მ ო კ ე ვ [მ ა ნ -----------]
[---]ვე დავწვათ და ⸢ამო⸣უწყუიდოთ და ზემ⸢ოსა⸣ [--]ეს[---------------]
[-----]ები რაიც ძველ[--] კ[--------]ს[---------------]ური [--]გ [-------]

(ბოლო აღარ გაირჩევა)

5

დაწერილი ქუეყნისა სამაგრობელი სრულიად სვანეთისა ჴევისა ჴეობის გამტეხელთათვის

დრო: მე-14 საუკუნის ბოლო—მე-15 საუკუნის დასაწყისი.
მდივან-მწიგნობარი: ქერუბინ II უხოჯელიანი.

ქ —— მთავარ მოწამისა სეტისა თაუსდებობითა და შუამდგომლობითა დავწერეთ და დავიდევით დაწერილი ესე მტკიცე და უქცეველი ჴეუვისა სამაგრებელი ⌈ჩვენ ჴეუ⌉მან ერთობილ⌈მან უშგუ⌉ლსა და ლალაუვერსა შუვა, ყუველამან ყოველთ ნდომითა ⟨და⟩ დამოწმებითა. ამა პირსა ზედა გაუამაგრეთ ჴეობა: თუ ზემო ჴეუმან გაგიტეხოთ ჴეობა, იმერ ამე[-----] და ზემო ჴევისა ნანძლევი ქუემო ჴეუსა| დაგრჩომოდე; და თუ ქუემო ჴეუმან გაუტეხოთ, ზე¦მო ჴეუსა დაგრჩომოდეს. ყუველაი ⟨ვიყოთ⟩ ერთმან ერთის უნდღრაუვად. დღესა იქით რომელმანცა კაცმან ჰავი რაი ქნას, დაწვისაგან მეტი პატიჟი არა გუვინდოდეს. მერმისა პეტრე-პაულობამდი დროი დაგუვიც ამისა თაუს[---------------] ერთმან ერთსა. თუ ვის [----] ღმერთი და მთაუარ მოწამე სეტისა, თუ გაულენა არა უყოთ ერთ|მან ერთსა.

ბოლოში უზის დამტკიცების ჯვრები: ერთ მხარეზე თერთმეტი ჯვარი, მეორე მხარეზე ათი ჯვარი (ერთი წყება ჯვრებისა სჩანს ზემო-ჴევის წარმომადგენელთა დამტკიცების ნიშნებია, მეორე წყება—ქვემო ჴევისა).

ბ. დაწერილი სამოკეთოი (პატრონ-ყმობისა)

7

დაწერილი სამოკეთოჲ (პატრონ-ყმოჳბისა) იოჳსელიანთა და დემეტრე სეტიელის სახლთა შოჳრის

დროჲ: მე-15 საუკუნის დასაწყისი.
მდივან-მწიგნობარი: გიორგი (I).

ქ მთავარ მოწამისა ს ე ტ ი ს ა თავსდებობითა და შჳვამდგომელობითა, დაგიწერეთ და გიბოძეთ დაწერილი ესე სამოკეთოჲ ჩვენ ი ო ს ე ლ ი ა ნ თ ა უ ზ ბ ე გ და ა რ ღ ო ნ, თქუენ ს ე ტ ე ლ ი ს [---]ნთა დ ე მ ე ტ რ ე ს, მტკიცე და უქცეველი, ყოვლისა მიზეზისაგან უმიზეზოჲ, უთუოჲ და უთუმცროჲ, აქაით და უკუნისამდე შეუცვალებელი, მას ჟამსა, ოდეს მოგინდა ჩუენთა ქელთა [გლეხად] ყოფაჲ. და ჩუენ წყალობაჲ გიმედეთ. აწ დღისითგან წაღმა თქუენთუის კარგი ვიყოთ, [რაიც თქუენსა საქმესა უჯობდეს იგი მოვიჭიროთ, არაი და(გა)კლოთ, ვითა ჩუენსა გლეხსა ეგრე დაგადგეთ, თქუენი თავი საუსამართლოდ და სამაჯ-ნოდ არაი ვის მივანებოთ, არაი დაგაკლოთ აროდეს არა ჟამსა და უისიმსა (?). რასაც შემოგუეკით[ხოთ, რომე]ლი უკეთეს გუეგონოს, იგი გამოგირჩიოთ.

ამისნი დამხდომნი და მო[წამე]ნი არიან: ს ა მ ს ო ნ პოყარიანი მე--ს და გ ი ო რ გ ი.

(უზის დამტკიცების ნიშნად ორი ჯვარი)

გ. დაწერილნი საყმო გამოსაღებისა (8—11)

8

დაწერილი საყმო გამოსაღებისა
ჯაფარიანთა და ხერეგიანთა შორის

დრო: მე-15 საუკუნის მეორე მეოთხედი.
მდივან-მწიგნობარი: მახარობელ უხოჯელიანი.

წმიდის გიორგის სეტისა და მაცხოვრისა მულახისა თავსდობობითა და შუვამდგუმლობითა დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩუენ მჯაფარიანმან თქუენ ხერეგიანთა მტკიცე და უქცეველი: თუ ხერეგიანი ასი მოსახლე იყოს, ამ ორი საკლავის მეტი არა ჰმართებდეს; რაც იოსელიანსა და მათ ყმათა სიგელი უდს, ამა პირზედა იყოს, რაც მათ პა[ჰ]ჰუვას (?) ერთ[ი]ისა ჰმართებდა.

ვინ ესე გაუტეხოს, ან ჯაფარიანმან, ან ხერეგიანმან, იგიმცა კაცი კრული არის ჯუარითა ქრისტესითა, სახლი და საყოფელი მისი, სასუმელი და საჭმელი მისი. ამენ.

ამისი შუამავალი: ბულდაირ ჰედელიანი, ბადრი გოშგოთელიანი, ესტათე იოსელიანი, მჯაფარიანნი და ხერეგიანი ყოლა, მაცხოვრის დეკანოზი მულახისა მახარობელი, ფრანგი მარეგიანი, გიორგი მარეგიანი, ივანე მარეგიან(ი), გუგუ უხოჯელიანი.

მე მახარობელს უხოჯელიან(ი)სა დამიწერია და მოწამეცა ვარ.

9

ხერეგიანთა მოთხოვნა
და
პატრონთა ჯაფარიძეთა პიცი

დრო: მე-15 საუკუნის მეორე მეოთხედი.
მდივან-მწიგნობარი: იოვანე (II).

ა

[ⴞⴄⴐⴄⴂⴈⴀⴌⴇⴀ ⴋⴍⴇⴞⴍⴅⴌⴀ]

წ ღმრთისა თავსდებობითა, მას ჟამსა, ოდეს ბატრონმან[1] გვიღალატეს ხერეგიანთა. არა გუმართებდა და აწ ეს მოვიგონეთ, აწ მოგმართეთ ესე არ გიყოთ (გუიყოთ?), ამ პირობისა არა გაგიტეხუთ (გაგუიტეხოთ ?), ამისთჳს რუმე ჩუენ დაჭოცა გაპირეთ (გავაპირეთ ?), აწ | რაცა დაგვემართებზ, თუ სიკუდილი, თუ დაწუა, ამას საქმესა დაუტეოთ.

---

[1] ხელნაწერში: ბტომ῀ნ

ბ

[ჯაფარიძეთა ფიცი]

თუ ამ გულზე შეიქენით, ჩუენ მოგახსენებთ რომე, ჯაფარიძის გვარი იყოს, ესე ფიცი არ გაგიტეხოთ: თუ ასი მოსახლე შეიქნას, ამ ორ საკლაუს იქეთ არა ემატოს; თუ განაყოფი ამოუწყდეს, ქრთამი არ მოუნდეს; თქუენით კარკაცობითა თუ სამგზაუროს წამოგუყვებით, თუ არა ⟨არა⟩ ⟨გ⟩კადროთ [1] (?); სადაცა გუახლდეთ, თქუენ არა ვისი ვარჩიოთ, რომე ჯაფარიძე ყმიანად დაიჴოცოს—მაშინცა არა ვესარჩლო.

კაცთაგან დამხდური: პირველად ჯანყვათ ჩარკჴანი, ლომინ ჩარკვიანი, ბიშე გჳჭიანი, ბაკე გირგულიანი, ფეშანგი ჯაფარიძე, ჯაზდან ძმა მისი, სჳმონ ხუხვა, ხერეგიანი დუდი, ძმისწული მისი.

მე იოვანეს დამიწერია.

ამისი ⟨თავსდები⟩ პირველად წ̃ჲ გიორგი სეტისა. რომელმან ესე და შეშალოს, კრული იყოს კაცი იგი ვითარცა სოდუმი და გომორი, წყეულიმც არს ჯუარითა ქრისტესითა, იუდას მუნაწილე იყოს.

10

დაწერილი საყმო გამოსაღებისა ჯაფარიანსა და მუტვილიანთა შორის

დრო: მე-15 საუკუნის მეორე მეოთხედი.
მდივან-მწიგნობარი: ანონიმი მწერალი, რომელსაც ეკუთვნის აქტი № 22 (ქურდიანთა საქმის გამო).

ღმრთისა დედისა თავსდებობითა და შუვამდგომლობითა დაგიწერეთ ესე წიგნი ჩუენ მჯაფარიანმან ქელდიშს მუტვილიანსა და მის შვილებსა ამა პირსა ზედა, რომე ერთი ცხუვარი ბევარა, ერთი მგზავრობაჲ საჯამაგირ|ოს იყოს, ერთი ხამი, სამი ნადობა,—უკუნისამდე.

11

დაწერილი საყმო გამოსაღებისა

(ანონიმური)

დრო: მე-15 საუკუნე.

ღმრთისა თავსდებობითა, ჴიდს იქით არა გთხო⟨ო⟩ ერთი საკლავისგან მეტი-

---

[1] ხელნაწერში: კადრუთ.

დ. დაწერილი პატრონად თავის დათვლისა ეკლესიისადა და ჯევისადა

12

ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲗᲕᲚᲘᲡᲐ ᲚᲐᲯᲘᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲯᲔᲕᲘᲡᲐᲓᲐ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲓᲐ ᲮᲣᲔᲠᲒᲝ ᲒᲔᲚᲝᲕᲐᲜᲗᲐ

დრო: მე-13—14 საუკ.
მდივან-მწიგნობარი: ნიკოლოზ.

ქ. ესე ნიშანი და დაწერილი დაგიწერე და მოგაჴსენე მე ივანე და ხუერგო გელოვანმა თქუენ წმიდასა მთავარან[გე]ლოზსა და მისთა [- - - -] ბელთა ლაი[ლისა] ჯევთა, მას ჟამსა, ოდეს ჩემისა [პატ]რონისა მიქე-ლა[ისძ]ისა ნებითა მო[ხე]რისა მთავარ[ანგ]ელოზსა და[გა]თუალეთ ჩუენი თავი, შვილნი, და რასაც ჩუენი ჰქუიან, მკჳიდრად, ვირე ჩუენი თემი იყოს. ამისსა წერასა ზედა ორი ადგილი მამული მოგეცით. ვითაც თქუენსა ერთგულობასა ვხედვიდეთ, მოცემასა და წყალობასა | ბოლოი არ შეუქნათ.

ესე ნიშანი მე ნიკოლოზს დამიწერია და მოწამეც ვარ.

ე. დაწერილნი ყმად თავის დათვლისა ეკლესიისადა და კევისადა (13—17)

13

ႣႠႼႤႰႨႪႨ ႷႫႠႣ ႧႠႥႨႱ ႣႠႧႥႪႨႱႠ ႪႠႽႨႪႨႱ ႤႩႪႤႱႨႨႱႠႣႠ ႳႺႬႭႢ ႮႨႰႨႱႠ

დრო: მე-13—14 საუკ.
მდივან-მწიგნობარი: ნიკოლოზ.

[ქ. ესე] ნიშ[ანი და დაწერილი დაგი]წერ[ე და მოგაჴს]ენე[- - - - თქუენ წმიდასა მთავარანგელოზსა მ ო ხ] ე რ ი ს ა ს ა. [ჰავისა ჟამი]სა შემოსლვამა ქუეყანა დააშავა. მოგანდევ ჩემი თავი და შვილნი. ვითაც გმსახურებდეთ, ჰაგრეც გუწყალობდით. ამისთუის არც მ ი ქ ე ლ ა ი ს ძ ი ს ა სამსახურსა მოჳცთებით.
ესე ნიშანი მე ნ ი კ ო ლ ო ზ ს ა დამიწერია და მოწამეც ვარ.

14

ႣႠႼႤႰႨႪႨ ႷႫႠႣ ႧႠႥႨႱ ႣႠႧႥႪႨႱႠ ႪႠႽႨႪႨႱ ႤႩႪႤႱႨႨႱႠႣႠ ႰႭႹႠႢႨႠႬႧႠ ႱႠႾႪႨႱႠ

დრო: მე-13—14 საუკ.
მდივან-მწიგნობარი: ნიკოლოზ.

ქ: ესე ნიშანი დაგიწერე და მოგაჴსენე მე გ ი ო რ გ ი რ ო ჩ ა გ ი ა ნ მ ა და ჩემთა შვილთა თქუენ წმიდასა მთავარანგელოზსა მ ო ხ ე რ ი ს ა ს ა, მას ჟამსა, ოდეს ჰავისა ჟამისა შემოსლვამა ქუეყანაი დააშავა. მოგანდევ ჩემი თავი და შვილნი. ვითაც გმსახჳრებდეთ, ჰაგრეც გ(უ)წყალობდით.
ესე ნიშანი მე ნ ი კ ო ლ ო ზ ⟨ს⟩ დამიწერია და მოწამეც ვარ.

15

ႣႠႼႤႰႨႪႨ ႧႠႥႨႱ ႣႠႧႥႪႨႱႠ ႪႠႽႨႪႨႱ ႤႩႪႤႱႨႨႱႠႣႠ ႸႭႸႵႭႴ ႵႭႺႾႨႠႬႨႱ ႱႠႾႪႨႱႠ

დრო: მე-14 საუკ.
მდივან-მწიგნობარი: აბრამა.

ქ სახელითა ღ͠თისაითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისაითა, თავსმდებობითა და შუამდგომელობითა ყოლად წმიდისა ღ͠თისა მშობელისაითა, პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისაითა, დაგიწერე დაწერილი ესე მე შ ო შ ქ ო ფ ქ ო ც ხ ი ა ნ მ ა ნ თქუენ წმიდასა მთავარანგელოზს მ ო ხ ე რ ი ს ა ს ა. დაგათვალე ჩემი სასახლე, ჩემი მამჳლი, ტყე და ველი, მთაი და ბარი, საჴმარი და უჴმარი. გიბედნიეროს ღმერთმან. ჩემი მამაი ბერი ვითა შეივედროთ, | ღმერთმან თქჳენც შეგივედროს.
ამისნი მოწამენი: ბ͠ზას მაცხოვარი ლ ა ი ლ ი ს ა, წმიდანი მთავარანგელოზოერი მ ო ხ ე რ ი ს ა, კაცთაგან ლ ა ი ლ ი ს ა სოფელი ერთობილი. მტკიცე ესე ჩემგან.
მე ა ბ რ ა მ ა ს დამიწერია და მოწამეც ვარ.

16

დაწერილი ყმად თავის დათვლისა
იონაშის ეკლესიისადა და ჴევისადა
აბლანთა სახლისა

დრო: მე-15 საუკუნის დასაწყისი.
მდივან-მწიგნობარი: გიორგი V შქშერიანი მოძღვარი.

ქ: წმიდისა იონას თავსდებობითა დაგიწერეთ და მოგაჴსენე დაწერილი ესე მტკიცე და უქცეველი მე ა ბ ლ ა ნ მ ა ნ გ ი ო რ გ ი და ჩემმან ძმამან ჯ ა ი ნ ი და ჩემთა შვილთა მ ი ქ ე ლ და ნ - - - - - და ჩუენთა შვილთა და მომავალთა ყოველთა,—თქუენთა ჩემთა პატრონთა იონასა და ი ო ნ ა შ ე ლ თ ა, მას ჟამსა, ოდეს მომინდა თქუენი ერთობაი. დაგათვალეთ ჩუენი თავი. რასაც ჩუენი ქვია, ყოველი მკვიდრად სამამულოთა ერთად გლეხად დაგუითვლი(თ)ა (?), ჩუენი თავი გულმართ|ლად თქუენთუის დაგვითულია. თქვენი უკითხავი არა ⟨ვ⟩ქუნ⟨ა⟩თ, გულ-მართლად თქუენი ერდგული ვიყოთ.

ამის გათავებისა თაუსდებად მომიჴსენებია წმიდა იონა, კაცთაგან თ უ თ ი ჩემი სიმამრი ბ ო ლ შ ი ა ნ ი.

მე შ ქ ე რ ი ა ნ ს ა დამიწერია.

(უზის ოთხი ჯვარი)

--- მებეგრედა განალამც ბეგარასა ზედა არა ოდეს *გაგანმალოლო (?) არა საქმესა ზედა ⌜- - - -⌝ოდო.

17

დაწერილი შვილობისა (ყმად თავის დათვლისა)
ლახამლელთა კიდის ეკლესიისადა და ჴევისადა
ალამდამა სკიზიანისა

დრო: მე-15 საუკუნე.

ქ ——— დაგიწერე და მოგაჴსენე დაწერილი ესე მტკიცე უქცეველი, უკუ-ნისამდენ შეუცვალებელი, ჩუენ ს კ ი ზ ი ა ნ მ ა ნ ა ლ ა მ დ ა მ ა მ ა სასურველი თქუ-ენ ერთობილსა ხეუსა ხ ი თ ი ს და ნ ე ნ წ ე ლ ს შვა ლ ა ხ ა მ ლ ე ლ ს ა მას ჟამსა, ოდეს მთავარ მოწამე ხ ი დ ი ს ა მ ა ნ --პიურსა (?) მიშვილა, ამა პირსა ზედა, რომე ⌜- -⌝ვ⌜- -⌝[--] ⌜ა⌝მაღლებასა ერთი პუ⌜- - -⌝ ⌜გ⌝ა [- - -

---

19

წიგნი ბულღარ ჭედელიანის საჯევრო ბეგარისა

დრო: მე-15 საუკუნის მეორე მეოთხედი.
მდივან-მწიგნობარი: მახარობელ უხოჯელიანი.

წიგნი ესე მტკიცე და უქცეველი. ოდეს ბულღარს ბიძა ებრძოდა, მაშინ ჩუენ უასაბიეთ. ერთი ვერძი ბეგარა ძალად დაგუ[ა]პატიჟა. ვინ შეშალოს, კრული იყოს კაცი ესე, ნესტორს და ორიგინესამცა არს ნაწილი მისი.

მე მახარობელს უხოჯელიანსა დამიწ[ერია], მოწამეც ვარ.

III

ა ქ ტ ე ბ ი
თემისა და პატრონთა ცილობის შესახებ
(20 — 26)

გეცილებოდე ბალყაეჩერს, არა მე და არა ჩემნი შვილნი, ერთის კვამლისაგან მეტად არას გეცილებოდე.

(უზის დამტკიცების ნიშნად სამი ჯვარი)

|მომეცით ფასი სრული და დავჯერდი, ამ დღესა იქით არ ოდეს არ შეგეცილო, არა მე, და არა ჩემნი შვილ(ნი), და არ ოდეს არა, ამიერ უკუნისამდე.

22

წიგნი სამაგრობელი ერთობილ სეტის ჴევისა პატრონის ქურდიანის შემოკვდომის გამო

დრო: მე-15 საუკუნის მეორე მეოთხედი.
მდივან-მწიგნობარი: ანონიმი მწერალი, რომელსაც ეკუთვნის აქტი № 10.

ქ —— მთავარ მოწმისა სეტისა თავსდობობითა და შუამდგომლობითა დავწერეთ და დავდევით წიგნი და ნიშანი ესე ჩუენ სეტიელმან ერთმან ერთისა ნდომითა მას ჟამსა, ოდეს ქ[უ]რდიანი შეგუაკუდა. მაშინ ამაზე დავმაგრდით: თუ რამე ზნიანი დაგვემართოს, ანუ სიკუდილით, ან სახლის დაწუა, ან საქონელის წართმა, იმისი მოსისხარი სეტისა ჴევი ყუელა იყოს. თუ ვის ყანისა ან სათიფისა ნა[---]ა დააკლდეს, ამ საქმით იმისი საზღავი ყოლა გარდიჴადოს. | თუ ვინმე[1] გამოჩნდეს და ცრუობა გულში დაიდვას, ან სიტყვით, ან საქმით, იმისი საწინდრათ კაჩალა გარდაგჳწყვეტია.

23

დაწერილი საერთი სასაერთპირი ერთობილ ლაჭილის სოფლისა

დრო: მე-14 საუკუნის ბოლო—მე-15 საუკუნის დასაწყისი.
მდივან-მწიგნობარი: გიორგი (I).

:ქ: მაცხოვრისა ლაჭილისა, მთავარანგელოზისა მოხერისა თავსმდებობითა და შჳამდგომელობითა დავწერეთ და დავდევით დაწერილი ესე ჩჳენ ერთობილთა ლაჭილელთა, დიდმან და მცირმან, ყჳელამან, ერთმან ერთისა ნდომითა და დამოწმებითა, მტკიცე და უქცეველი, ყოვლისა მიზეზისაგან უმიზეზოი, მას ჟამსა, ოდეს ჩუენ შიგან დაშლით ვიყვენით. იგი ავად მოგჳიხდა. მერმე გავიგონეთ და ვამტკიცეთ საერთოი ლაჭილისა საქმე, ამა პირსა ზედა: თავად(ი) თუ ერთობილსა სავსიმართლოდ წამოგჳეკიდოს, და მერმე ერთსა, და ანუ ორსა, ვინ გინდა იყოს, ანუ ერთი კაცი იყოს, და ანუ ქჳეყანაი იყოს, ვინ გინდა ლაჭილელი კაცი იყოს,—საჭაოდ და სამაჯნოდ არ გაუსცეთ იგი

[1] ხელნაწერში: ვი˜მი.

27

წიგნი სასისხლო საქმისა ბელას-ზემო სვანეთსა და თავად ჯაფარიძეთა შორის

1490—1503 წლებში

წიგნის შედგენა მიეკუთვნება 1503 წელს.
მდივან-მწიგნობარი: ფალავანდ ფალავანდიშვილი.

[დასაწყისი აკლია].

----- მოუჴედით და თქუენი ბიძანები თვალია და ივანე მოგუეწივნეს და შეგუებნეს. მოგუერია ცოდვა, ეშმაკის მანქანებითა შემოგუერივნეს. მერმე დაგუიწყეთ მტერობა თქუენ ჯაფარიძემან სარგის და აღარც გაგუიშუით საჯამაგიროდ, აღარც რაჭას და ლეჩხუმს სამუშირაოდ გამოგუიშუით. შუიდს წელიწადს ასრე ვიყვენით, რომე სრულიად სუანეთის ქუეყანასა საზიარებელს ვეღარ ვიშოვებდით და არც ვის მარილის გემო გუინახავს. მერმე მიგუჭირდა და აღარა ღონე გუქონდა, შევიყარენით და ოთხასი საპალნე ცხენი წამოვიტანეთ, თუითოს ცხენსა ოროლი კაცი წამოვჰყვევით.

ჩამოვედით ლეჩხუმს და რაც სავაჭრო გუახლდა გავჰყიდეთ და ვისაქმეთ. ავჰკიდეთ ღუინო და წამოვედით. თავი მორჭმული გუეგონა, აღარას მოველოდით. თურმე კუჭაიძე და ლაშხიშვილი შემოჩენილი გუყუა. როგორც ჩუენ სავაჭროდ ჩამოვედით, კუჭაიძესა და ლაშხიშვილს თქუენთუის კაცი გამოეგზავნა, თქუენ სრულიად რაჭველნი შეგეყარა და ასრე მოსულიყვენით რეხტაშიგა, რომ ჩუენ თქუენი მოსლვა ვერათ საქმით ვერ შევიტყევით. წინათ თქუენ დაგუხუდით, უკანით კუჭაიძე, ლაშხიშვილი, ინასარიძე და გარეყანიძე მოგუეწივნეს, გავიყავით წინა უკანა და დაგვჴოცეთ და ამოგუწყუიტეთ. რვაასის კაცისაგან ოთხასის მეტი აღარ მოვრჩით. ეს ყუელა კაცნი დაგუჴოცეთ და ოთხასი ცხენი, ყუელას ღუინო ეკიდა, მისის საპალნით წაგუართუით.

ამას გარეთ სხუა მრავალი მტერობა გუიყავით და ვერსით საჯამაგიროდ ვერ გაგეპარენით, ამისი ღონე ვერ დავდევით რომ გზა გუეშოვნა. ასი სუანი დვალეთისაკენ გავიპარენით, კახეთს საჯამაგიროდა წაველით. მის წასლვა ვერ შეგუიტყევით, და მერმე შინისაკენ რომ შემოვიქეცით, იმავ დვალეთზედ წამოვედით,—დაგუხუდით გლოლას და ჭიორასა შუაზედან და მოგუიჭირეთ ჴელთა, დაგუძარცუეთ, ასის კაცისაგან ორი მოამბედ გაუშუით, სხუა ყუელა ტყუედ წაგუასხით, ჩუენის მონაგებიანად ონს მიგუასხით, საქონელი სალაროში შეიტანეთ და ჩუენ დარჯილნი, საბრალონი, საღორესა და საბატეში შეგუყარეთ. ნაალდგომევიდალმა ენკენისთუემდის იმაშიგ ტყუედ ვიყვენით. ღონე აღარა გუქონდა, დავიჴსენით თავი და თუითო კარგი

აბჯარი ჩუენის თავის საჴსრად გამოვიღეთ და გარჯილი სული ამით შევირჩინეთ.

სხუა რასდენი ჭირი და მტერობა გარდაგუეკიდა, კაცის ენა როგორ იტყუის. ვიყუენით სრულიად ეცერს აქეთ რაც სუანეთი არის თორმეტს წელიწადსა ასრე შეწყუდეულნი, რომ ვერც კახეთისაკენ ვიშოეთ საჯამაგირო გზა, ვერც სამცხისაკენ და ვერც გურიისაკენ, ვერც ვიმ[უ]ჩირეთ. და მერმე შევიყარენით სრულიად სუანთ ჩენილები და ვქენით ვაზირობა. მივედით ეცერს, რუჩაგიანსა და დადიშკელიანსა შევეხუეწენით და დადიანთან გავგზავნეთ. შევეხუეწენით დადიანს მამიასა და ცხრა ჯორი გაუგზავნეთ. ამისი აჯა ვსთხოეთ, რომ მეფეთა-მეფეს პატრონს ალექსანდრესთან აჯა ეთხოვნა.

ღმერთმან გაუმარჯოს პატრონს დადიანსა. ჭყონდიდელი გაეგზავნა და შეხუეწოდა ალექსანდრე მეფესა, ეაჯებინა და ეპატივებინა ბატონის დადიანისათუის, და ასრე ებრძანა მეფეთ-მეფესა პატრონსა ალექსანდრეს თუ, ჯაფარიძისთანა თავადი რაჭას არა მყავსო; თუ ჯაფარიძის სისხლს გარდიჴდიანო, სუანთ გზას მივცემო და ჯაფარიძეთაც ჩამოვჴსნითო, თუ არა ჯაფარიძის საქმეს არ გარდავსწყუეტო, ჯაფარიძენი უბრალოდ დაჴოცესო, მწუედ მძლავრნი კაცნი არიანო და სრულიად რაჭველნი და ლეჩხუმელნი დამეკარგუიანო. და თუ ამ ჯაფარიძის საქმეს გარდასწყუეტენო, მოიყენე კარსა და რა რიგადაც სჯობდეს და ემართებოდნენ, ჯაფარიძესაც გარდაუწყუიტონ და შემოვიწყობთო.

ამაში გამოჴდა ხანი და მივედით დადიანთან სრულიად ჩენილები. წამოგუიძღუა თუითან ბატონი დადიანი და გეგუთს მივედით. შეიქნა საქმობა და სანახშირე გუთხოეს ჯაფარიძეთა. დასხდეს თუითან მეფეთ-მეფე პატრონი ალექსანდრე და დადიანი ბატონი მამია, ფალავანდიშვილი ზუიადი, ჭილაძე ლომკაცი, ერისთავი კახაბერი, ამირეჯიბი რამინ და ფალავანდიშვილი ფალავანდი. ქნეს მოკითხული და სიგელიც მოატანინეს ჯაფარიძეთა. და მეტად უზომოდ დიდი სისხლი და სანახშირე ეწერა. ამაზედ იანგარიშეს. და [----]ასი კაცი მოეკლა ჯაფარიძეთა და სხუა მრავალი ავი დამართებოდა ჯაფარიძეთაგან სუანთა; დაუდევით სიგელი სუანთა და გარდაიჴადეს.

და მოვაცემინეთ ლაშხეთს სოფელი და ციხე, ხერიას ცხრა კუამლი კაცი, და ერთი მომცრო მონასტერი წმიდის გიორგისა თექუსმეტით ჯუარხატითა, ოთხთავითა, საწინასწარმეტყუელოითა, სამოციქულოითა, მარხუანითა, ტიბიკონითა, სტოდიელითა.

ამას გარეთ მოგეცით ოსეთის პირად მთიულეთს ხიდურას ოცი გლეხი, ერთი კარგი ციხე, ორი მონასტერი: ერთი დიდი გუმბათიანი მთავარანგელოზთ მონასტერი ორით დიდით ოქროს ხატითა, ოცდათრვამეტითა სხუა დიდით ხატითა, თორმეტით ოქროისა და ვეცხლის კანდლითა, მისით სამონასტრო წიგნებითა,—დიდით გულანითა, ოთხთავითა, სამოციქულოითა, საწი-

ნასწარმეტყუელოითა, მარხუანითა, მეტაფრასითა, დავითითა, დავითის თარგმანითა, ოთხთავის თარგმანითა, ენქეროსნით წინამძღურითა; მეორე წმიდის გიორგის საჯანის დიდი სიონი მონასტერი, ოცდათორმეტით ჯუარ-ხატითა და რაც სამონასტრო წიგნი არის მით სრულიად გათავებული, და საბატონო დეკანოზი; წინამძღუარს ოცი კუამლი კაცი და დეკანოზს რვა კუამლი კაცი.

ამის გარეთ იქივ ხიდურ[ა]ს ერთი აზნაურ-შვილი სოსაგიძე მისითა ციხითა, თორმეტი კუამლი კაცითა.

სხუა მთიულეთს ციხე და სოფელი [ბ]რილი, ოცდაოთხი კუამლი კაცი, ერთი ეკლესია თხუთმეტით პატიოსნით ხატითა და მისით წიგნებითა სრულობით შემკობილი.

თევარეშოს თექუსმეტი კუამლი კაცი და ციხე სხუა, და არიშიძე ლომი მისით ციხითა, ორმოცით კუამლით კაცითა.

ზედ-ქალაქსა კარგი საბატიო გუმბათიანი საყდარი ჯუარცმისა საეფისკოპოზო მისით მოთუალმარგალიტულით ომფორითა შემკობილი, რაც ეფისკოპოზსა და იმისთანას საყდარს ეკადრების, იმისთანას წიგნებით სრულად გათავებული, ასის კუამლით კაცითა.

და ლებს ორი აზნაურშვილი გიგაშვილები მისით ციხითა და სამოცდა თორმეტით კუამლით კაცითა.

შოდას წმიდის გიორგის ეკლესია და სოფელი, ოცდახუთი კუამლი კაცი და ციხე.

ჩუეშოს ციხე და შუიდი¯გლეხი.

ჭიორას ციხე და სოფელი, თექუსმეტი კუამლი გლეხი.

ბუბას კარგი ეკლესია, ციხე და სოფელი,—ეკლესია კარგის ჯუარ-ხატითა, ოცდახუთი გლეხი.

სხუა ლების შესავალი სოფლები.

ჯუმლად ოთხასი კუამლი კაცი.

სამი საშავარდნე სხუა, ყოვლის დღის სანადიროები საჯიჴვე, ზოფახითო, კირტიშო, ედენ, გილოინა, რიონის სათავე, სხუა სანადიროები არჩუისა.

ამ მამულს გარეთ სამასი სამანქანური და ზედალური აბჯარი, სამასი ვეცხლის ჭურჭელი: სურა-თეფში, ჩორლათო და თასი, ვეცხლის ტაშტი, წურწუმა, კახთ მეფის ნაპარევი.

ამას გარეთ სამასი დიდი და სუბუქი ქუაბი, სამასი ჯორი, სამასი კარგი ულაყი.

ამას გარეთ ველარა ამოგივედით, არ შეგუჯერდით, ამისათუის რომე თქუენი სწორი კაცი სუანეთს არ იყო, და სხუა ველარა ღონე ვქენით, სრულიად სუანთა ეცერს აქათ ყუელამან თქუენი ბაჟი დავიდევით, სრულად მულახელთა და მულახის შესავალთა, ლატარელთა და ლატარის შესავალთა, უშკულელთა და უშკულის შესავალთა.

აწე მოგუიჴსენებია გლოლას ზედათ, ცენას იქით, ოსეთს აქათ, სრულად მთიულეთის თემი, მათით სამართლიანითა მთითა, ბარითა, საყდრებითა, წყლითა, წისქუილითა, სათევზოითა, სანადიროითა, ველითა, სათი-

ბითა, მისითა მიმდგომითა მართლით სამართლიანითა საძებრითა და უძებრითა მისით ყოვლითა. გქონდეს მკჳდრად და სამამულოდ თქუენ ჯაფარიძესა სარგისს, აბესალამს და ვამიყს. ვინც ეს მოგიშალოს და შეგიცვალოს, წყეულიმც არის აქა და მერმესა მას საუკუნესა, ორთავე ცხოვრებათა შიგან. ან თემისაგან, ან ბაჟისაგან, სადამდის სუანეთი იჴსენებოდეს, ან ჯაფარიძის გუარი იყოს ან იჴსენებოდეს, ვინც შეგიცვალოს, ან მოგიშალოს,—შემცაიცვლების ქრისტიანობის სჯულისაგან, რისხავსმცა მამა, ძე და სული წმიდა. აწე გქონდეს მკჳდრად სამამულოდ ჭიდროთა[ს] ზედათი, და გლოლას ზედათი, სუანეთს იქით, ოსეთს აქათი, სრულად მთიულეთი ოთხასი კუამლი აზნაურ-შვილიანად, გლეხიანად. სრულად ეცერს აქათ რაც სუანი იყოს, ყუელამან ბაჟი [მოგცეს]. გიბედნიეროს ღმერთმან, როგორც ნასისხლსა მართებდეს. ვინც ან ამ მთიულეთს დაგეცილოს, და ან ბაჟსა, ამის პირისა და პასუხის გამცემნი ჩუენ სრულად სუანნი ვიყვნეთ.

ამის გარეთ საალაპოდ მოგაჴსენეთ სამასი ნებიერი, ათასი ცხუარი და სამასი ლიტრა სანთელი.

დაიწერა წიგნი ესე ქრონიკონსა რ[ჟ] და ერთსა, ჴელითა ფრიად ცოდვილისა ფალავანდიშვილის ფალავანდისითა. მოწამეცა ვარ ამ საქმობისა.

— ანუ ვინ მთა გატეხოს,—
ნაძლევი მისი დაუვარდეს.

თუ ესე ვინ შეშალოს, კრულმცა არს სული და ჴორცი მისი, სახლი და საყოფელი მისი, სასუმელი და საჭმელი მისი, ორთავე ცხორებასა როსტანს და ორაგინესცა არს ნაწილი მისი. ამენ. |

თუ ვინ სხვის თაუზედ მთავარ მოწამისა სეტისა კაცსა აწყინოს, მისი ქვეყანისა ნაძლევი დაუარდეს, ათასისა თეთრისა იბარა გარდიჴადოს.

30

დაწერილი
ჯევის ჯელისუფალისა («მეჭურჭლისა») ბელას-ზემოჲ სვანეთის ჯევის მიმართ ჯელისუფლად დადგინების გამოჲ

დრო: მე-15 საუკუნის მეორე ნახევარი (1497 წლის უწინარეს).

ქ —— წმიდაისა თეკლასი თაუსდებობითა და შვამდგო(მ)ლობითა, მთავარანგელოზისა გულიდასა, და ახალშენისა ღმრთის მშობლისა თაუზდებობითა და შვამდგო(მ)ლობითა, რანიცა წმიდანი ქრისდესა ღმერთსა ჩვენსასათნო ეყუნეს და ყ--- სათნო ყოფად არიან—მათ ყოელთა | ღმრთისა წმიდათა ზეცისა და ქვეყანის თავსდებობითა მინდობითა და შუამდგომლობითა, დაგიწერეთ და მოგაჴსენეთ დაწერილი ესე მე კუჭაისძემან მიქაელ და ჩემან ძმის წულთა და ჩემან შვილმან ცოტნე და გიგიამან, შვილთა და მომავალთა ჩემთათა, თქვენ ჴევსა| ⌈ბა⌉ლსა ზემოცა და ატკვერს ქვემოთცა, მას ჟამსა, ოდეს სეტიასა მოვედი. პირველსა ჟამსა ნამეტნავი წყალობა მომი(ვი)დაუ თქვენგან, და მოგაჴსენეთ და შევწირეთ უფნაშის მონასტერი სეტისა მთავარ მოწამესა, მისითა შესავლითა ყოვლითა, მ⟨ჟ⟩ითა, ბარითა, გლეხითა, ველი(თა), | სამართლიანითა მზღ(ვ)რითა, მკვიდრად და სამამულოდ, უცილობელად ყოლისა კაცისაგან. არა ვინ შემოგეცილოს, პირი და პასუხვისა გამ⌈ცემი⌉ ჩვენ ვიყოთ. აწ რაგვარც თქუენგან შეწყალებულსა მა⌈რთე⌉ბდეს, თქუენსა მეჭურჭლესა მართებდეს, აგრე გულ მ[ართლად] | თქუენთუის კარგნი ვიყუენით, არა გავნოთ, არა გილალატოთ, არა დაგაკლოთ, რაიც კაცს კაცისაგან ევნების და ელალატების [და] დააკლდებისა, არასა თანა არა. რაიცა შემოგ(ვ)ვედროთ—თქუენთვის შე⌈ვინახ⌉ოთ, რაი გ⌈------⌉—ჴელთავე მოგაჴსენოთ; და ხვაშიადი [არა] გაგიმჟღა[უნოთ]; სადა შველა გინ⌈დოდის⌉—გიშველოთ, | სადა სავრავი გიჯობდეს — გიურვოთ. და თუ ესე დაწერილი საქმითა არა გაგითავეთ—თქვენი ჴელი და მეჭურჭლეობა,—რაიცა მთავარ მოწამისათვის შემომიწირავს, თქუენ ჴევსა დაგრჩომოდეს ბალს ზემოთცა და ატკვერს ქვემოთცა, თუ ესე ასე არ გავათაოთ.

| ამის გათავებისა თავდებად მომიცემია პირველ ღმერთი და სეტისა მთავარ მოწამე, კაცთაგან: კახიანი ბაბონაი, აბუგიანი დავითი, ფურ--ელ⌈იანი⌉ მიქაელ, ასათიანი ჯუხაი, სალიდათიძე შატბია, ჯუჯიდაიძე ირუგაი.

მე მიქაელ საქმითაცა გავათავებ ამა დაწერილსა.

ბოლოში დამტკიცება-ხელრთვა:

მე მეჭურჭლ⟨ე⟩ კუჭაისძე საქმით გავათავებ ამა დაწერილსა.

VI ა

სათემო აქტები
სვანეთის ცალკე ჴეობათა

ⴑⴄⴒⴈⴑ ⴤⴄⴅⴈⴑ ⴑⴀⴇⴄⴋⴍ ⴀⴕⴒⴄⴁⴈ

Ⴀ. ႣႠႼႤႰႨႪႬႨ ႵႥႤႷႬႨႱႠ ႱႠႫႠႢႰႭႡႤႪႨ (31—34).
Ⴁ. ႣႠႼႤႰႨႪႬႨ ႧႤႫႨႱ ႳႩႨႧႾႠႥႠႣ ႫႭႵႫႤႣႧႠ ႼႨႬႠႠႪႫႣႤႢ (35—36).
Ⴂ. ႫႤႦႭႡႤႪ ႴႤႥႧႠ ႳႰႧႨႤႰႧႭႡႠ (37—40).
Ⴃ. ႴႤႥႨ ႣႠ ႱႨႱႾႪႨႱ ႱႠႵႫႤႤႡႨ (41—43).
Ⴄ. ႴႤႥႨႱႠ ႣႠ ႩႤႰႻႭ ႮႨႰႧႠ ႳႰႧႨႤႰႧႭႡႠ (44—47).
Ⴅ. ႴႤႥႨ ႣႠ ႱႠႧႤႫႭ ႤႩႪႤႱႨႨႱ ႱႠႵႫႤႤႡႨ (48—51).
Ⴆ. ႠႪႼႤႰႠ ႱႠႧႤႫႭ ႤႩႪႤႱႨႨႱ ႵႭႬႤႡႨႱႠ (52—53).

ა. დაწერილნი ქვეყნისა სამაგრობელი და საერთი-სასაერთპირი

(31—34)

31

დაწერილი ქუეყნისა სამაგრობელი ერთობილისა სეტის სოფლისა

დრო: მე-14 საუკუნის ბოლო—მე-15 საუკუნის დასაწყისი.

ქ სამება სკარეშისა და მთავარ მოწამისა სეტისა თაუსდებობითა და შუამდგომელობითა დაუწერეთ და დაუდევით დაწერილი ესე მტკიცე და უქცეველი ჩვენ სეტისა სოფელმან ყოველმან, ზემომან და ქვემომან, ქვეყნისა სამაგრობელი: თუ ვინ მოგვიმაჯნოს, ანუ მთაი, ან ჭალაი გაგვიტეხოს, ერთისა ჯაფარ⌈ის⌉ძისა სი⌈სხლ⌉ად ვერჩოდეთ ჩვენითა შეძლებითა. ვისითა მიზეზითა იყოს, პირი იგი იყოს. საჴელოი საერთო იყოს. ვინც ესე ამტკიცო, კურთხეულმცა არს ქრისდეს პირითა. ვინც რაი ვის დაუნახოს და გამოჩნდეს, ამოწყვედისაგან სხვაი პატიჟი არაი გვითქვამს. ვინც ესე არა ამტკიცო შენითა შეძლებითა [--------], კრულმცა არს კაცი იგი აქა და მას საუკუნესა.

32

დაწერილი საერთი სასაერთპირი სეტის ჯევის ოთხისა თემისა

დრო: მე-14 საუკუნის ბოლო—მე-15 საუკუნის დასაწყისი.
მდივან-წიგნობარი: გიორგი (III).

ქ —— მთავარ მოწმისა სეტისა თავსდებობითა და შუვამდგომელობითა დაუწერეთ და დაუდევით დაწერილი ესე საერთი სასაერთპირი ჩვენ ოთხმან თემმან, თავად ჭეუი|სარმან ჯაფარიძემან და მისთა, იოსელიანმან და მისმან კაცმან, მთავარ მოწმისა საყდრისა შვილმან ერთობ ყველამან, ერთმან ერთისა ნდომითა მოწმებითა. მერმე ერთმან ერთსა ესე პირი|უიმე-

34

დაწერილი ერთობისა და გაუყრელობისა ერთობილისა სეტის ჯევისა

დრო: მე-14 საუკუნის ბოლო—მე-15 საუკუნის დასაწყისი.
მდივან-მწიგნობარი: გიორგი II იველდიანი.

ქ —— მთავარ მოწმისა ს ე ტ ი ს ა თაუსდებობითა და შუვამდგომელო-ითა დაუწერეთ და დაუდევით დაწერილი ესე ერთობისა და გაუყრელობისა ვენ ერთობილმან ს ე ტ ი ს ა მთავარ მოწმისა საყდრის შვილთა|მტკიცე და ქცეველი, ყოულისა მიზეზისაგან უმიზეზოი, რაისა გინდა ჟამისა შემოსრულო-ისათვის შეუცვალებელი, უთუოი და უთუმცოი, მას ჟამსა, ოდეს დაუჭირვებე-ლად ერთმან ერთისა ერთობაი და გაუყრელობაი მოგვინდა და გავაერთედ ვენი საქმე სამტეროი და სამოყუროი, |მოგვინდა და გავაერთედ ჩვენი საქმე ველაი, ამა პირსა ზედა:

აწ დღესით წალმა მტერისა მტერი სწორად ვიყოთ და მოყვარისა ოყვარე; არ გავეყაროთ ერთმან ერთსა არაისა მოჭირვებისათვის, არაისა არა-ისა ლხინისათვის, არავის კაცისა გულისათვის, არაისა ქრთამისათვის; სადა საუ-რავი | გვიჯობდეს, ერთმან ერთისა გულმართლად საურავი მოვიჭიროთ; სადა ველაი დაგვეჭიროს ერთმან ერთსა თაუ დადებით უშჳელოთ; ჩვენი საქმე არა ის ვათნოთ, ყოულითა ჩვენითა ღონითა და შეძლებითა ერთმან ერთის საკე-ოსა საქმესა ვიჭიროდეთ; მიღმა ერთმან ერთსა დავადგეთ, უაუგოი გ[ული][1] ევაწიოთ; მოღმა რაიც მოგვივიდეს, მესამედი ჩვენ ერთობილსა | გამოგვიყოს.

ესე დაწერილი ფიცითაც დაგვიმტკიცებია. ვინც შეშალოს, არ გა(ა)თაოს ისითა შეძლებითა, კრულიმც არს კაცი იგი ღმრთისა დაუსაბამოისა პირითა ქა და მას საუკუნესა, სული და ჴორცი მისი აქა და მას საუკუნესა, ორთავე ცხორებათა შინა. ვინც უკუ დგეს, |ესე დაწერილი გაგვიტეხოს, ასის თეთრისა ატიჲი გარდავაჴდევინოთ, უმიზეზოდ ჩვენგან გავაყენოთ.

(ბოლოში უზის დამტკიცების ჯვრები)

ბ. დაწერილნი თემის უკითხავად მოქმედთა წინააღმდეგ (35—36)

35

დაწერილი ერთობილისა სეტისა და ლალამის ჴევისა თემის უკითხავად ოსეთს წამსვლელთა და ჭავის სენის შემომტანთა წინააღმდეგ

დრო: მე-14 საუკუნის ბოლო—მე-15 საუკუნის დასაწყისი.
მდივან-მწიგნობარი: დემეტრე III უხოჯელიანი.

ქ ესე დაწერილი დაუწერეთ სეტისა სოფელმან მტკიცე და უქცეველი. მას ჟამსა, ოდეს ჩვენად უკითხავად ოსეთსა წავიდეს, ორასისა თეთრისა იბარა წაუღოთ. თუ ვინ ჭავითა სენითა დასნეულდეს, იგივე ორასისა თეთრისა იბარა გარდავაჴდევინოთ. რაიც ქნილა, თუ რაი სამტერო საქმე მოჰყვეს, პირი და პასუხვისა გამცემი სეტისა და ლალამისა ჴევი ვართ. |

ამის გათავებისა თაუსდებნი დაგვიწერია სამება სკარეშისა, მთავარ მოწამე სეტისა.

36

დაწერილი ერთობილისა სეტისა და ლალამის ჴევისა იბარის (ჯარიმის) დადებისათვის თემის უკითხავად ოსეთს წამსვლელთა და ავის სენის შემომტანთა ზედა

დრო: მე-14 საუკუნის ბოლო—მე-15 საუკუნის დასაწყისი.

[ქ] —— მაცხოვრისა სკარეშისა თავსდებობითა და შუამდგომელობითა, სეტისა მთავარ მოწმისა თავსდებობითა და შუამდგომელობითა, მაცხოურისა ლალამისა თაუსდებობითა და შუამდგომელობითა, დაუწერეთა[1] და დაუდევით დაწერილი ესე ჩუენ ლალამელთა და სეტიელთა ყუველამან, ჴევმან ერთობილმან, მა ჟამსა, ოდეს შუ(ი)დმან მოსახლემან სნეულობა უსეთით მოიღეს. ამოსწყვიდა ქუეყანაჲ და გარდავაჴდევინეთ იბარა რაგუარცა დაუჯერდით. აწ ვინცა ენდურვის, მის პირი და პასუხისა გამცემი ჩუენ ლალამელნი და სეტისა ჴევი ვართ მისი პირი და პასუხისა გამცემი.

რაიცა მოგუსულია[2] იბარა, შეგუიწირავს მაცხოურისა სკარეშისა.

თუ ვინ ვინცა ამა იბარასა შე(ა)ქც(ი)ა, ვაჲ თქუვა, ეგმოს[3] მამაჲ ძე და სული წმიდა. ვი(ნ)ცა ესე დაწერილი შეშალოს, კურულმცა[4] არს სული და ჴორცი მისი აქა და მას საუკუნესაჲ.

(უზის დამტკიცების ნიშნად 50 ჯვარი)

---

[1] ხელნაწერში: და დაუწერეთა.
[2] ხელნაწერში: მუგუსულია.
[3] ხელნაწერში: ეგბოს.
[4] ხელნაწერში: კურუ́ლმცა.

გ. მეზობელ ჴევთა ურთიერთობა (37—40)

37

წიგნი ფიცისა
(საკავშირო ხელშეკრულება)

სეტისა და მულახის ჴევთა შორის ჩარქასთა შემოსევის დროს დადებული

დრო: მე-15 საუკუნის დასაწყისი.
მდივან-წიგნობარი: ქერაბინ II უხოჯელანი.

ქ —— მაცხოვრისა მ უ ლ ა ხ ი ს ა თავსდებობითა და შუამდგომლობითა, მთავარ მოწამისა ს ე ტ ი ს ა თავსდებობითა და შუამდგომლობითა, დაგიწერეთ წიგნი ესე მტკიცე და უქცეველი, მოგაჴსენეთ ჩუენ მ უ ლ ა ხ ე ლ თ ა თქუენ ს ე ტ ი ე ლ თ ა, ოდეს ჩ ა რ ქ ა ს თ ა ამოგ(უ)წყჳდა. მერმე თქუენ გჳსაბიეთ. მერმე სამი ჴარი ბეგარა ძალათ დაგპატიჟეთ, გ უ რ ი ს ა მთა ლ ჴ ც ლ ა შ ი ს ა ქედს აქეთ. ერთმან ერთასა შევფიცეთ მტერისა მტერობაჲ, მოყურისა მოყრობაჲ, ამა პირსა ზედა, რომე თუ სისხლი გუმართებდეს, ანუ სხვაჲ უმცრო საქმე, იმისი გარდამწყვეტი მაცხოვარი და მ ო ლ ა ხ ი.

ვინ ესე შეაშალოს გინა მოსამართლის გულისათჳს, | გინა საქონლისა გულისათჳს, კრულმცა არს ჯუარითა ქრისტესითა კაცი იგი დასაბამითგან ვიდრე უკუნისამდე.

აწ კაცთაგანი მოწამენი: გ ო გ ნ ა ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ა რ თ უ თ ა ქ უ რ დ ი ა ნ ⟨ი⟩, ბ ე ქ ს ო ლ თ ა ნ ა ჯ ო რ ჯ ო ლ ა ძ ე, და ს ე ტ ი ე ლ ნ ი გ უ დ უ ლ ი მ ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ბ ე დ ⟨ა⟩ ნ ი გ ო შ გ ო თ ე ლ ი ა და ხ უ რ ჯ ლ ი მ ა რ ე გ ი ა ნ ი.

მე ქ ე რ ა ბ ი ნ ს უ ხ ო ჯ ე ლ ა ⟨ნ⟩ ს ა დამიწერია და მოწამეცა ვარ.

38

წიგნი ფიცისა
(საკავშირო ხელშეკრულება)

სეტისა და მულახის ჴევთა შორის
(მეორეგზის განახლებული)

დრო: მე-15 საუკუნე.

—— ქ~ჲ მაცხოვრისა მ უ ლ ა ხ ი ს ა, ქ~ჲ გიორგი ს ე ტ ი ს ა თავსდობობითა და შუამდგომლობითა დავწერეთ და დავდევით | წიგნი ესე ჩუენ ერთმან ერთისა ნდომითა ამ პირზედა, რომე მტერისა მტერობა და მოყუსისა მოყურობაჲ ერთმან ერთსა არ დავანებოთ, ნურც კაი და ნურც ჰავი.

ვინცა ესე დაწერილი შეაშალოს, კრულიმცა არც კ~ცი ესე ჯუარი⟨თა⟩ ქრისტესითა, ნესტორ და ორგინესიმცა არს ნაწილი მისი. ამენ.

39

დაწერილი მოწყობისა
სეტიელთა და ლენჯერის მონადირეთა შორის დადებული

დრო: მე-15 საუკუნის დასაწყისი.
მდივან-მწიგნობარი: ქერობინე I კილამოშელი.

ქ —— დაგიწერეთ|ელია წმიდისა და მთავარ მოწმისა სეტისა თავსდებობითა და შუვამდგომელობითა, დაგიწერეთ და მოგახსენეთ და|წერილი ესე მტკიცე და უქცეველი, უთუო და უთუმცო, მას ჟამსა, ოდეს ლენჯერის მონადირენი| და ჩვენ სეტიელნი წავიკიდენით სანადიროსა ზედა. მერმე მოუყარეთ| მოურაუნი საჯერონი, მოგვაწყუვეს ⟨ა⟩მა პირსა ზედა, რაიცა მართალმან კაცმან გაგვიჩინეს—გარ|დავიჴადეთ. არ დაგვურჩა თქვენი სასარჩლო და სასანდუროი, თვინიერ მოკეთოებისგან მეტი.

ამის თაუ|სდებად მოგვიჴსენებია პირველ ღმერთი, და კაცთა⟨გან⟩ მოურაუნი არიან: ბურზი ბრავიანი, ვამიყი ბრავიანი, ივანე ბიბილვანი, მელომე პატარა ხრთაგიანი, გავაშელ ფალიანი.

მე ქერობინე კილამოშელს დამიწერია და მოწმეც ვარ ამა დაწერილის.

(უზის დამტკიცების ნიშნად ხუთი ჯვარი)

40

დაწერილი საქმისა ბოლომოღებულობისა
იანაშელთა (ლატალის კეველთა) და მიქაელ სეტიელს შორის

დრო: მე-15 საუკუნის დასაწყისი.

ქ. —— მთავარ მოწამისა სეტისა და ივონე ლატალისა თავსდებობითა და შუვამდგომლობითა დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ იანაშელთა თქვენ სეტიელსა მიქელსა, მა ჟამსა, ოდეს|შენი ჴარი შირუანმან წაგგვარა ორსმეგიანისა პირობასა ზედან. მერმე შენ მაღელდიანსა ჴარი წამოგვარე იმისდა სამუქფოდ. მერმე საუბარი შეგვექნა, და ჩვენი იანაშელთა და მაღელდიანისა საქმე რაც შემოგვარდა, ში[----]ნი ბოლო მოღებული არის და გარდაგიხდია. აწ რა გინდა|რა ამ საქმესა მოყვეს, შენ არა დაგაბაროთ, ბოლო მოღებული არის.

ამისი დანახდურნი: ჩარკვიანი ივანე, ჩორელი ⌜---,---⌝ ლოვანი ივანე და ჯაფარაძენი ივანე და მამისაი, პაპიდ [----] გოშქოთელიანი, თავსდები და მოწამეც ვართ ამა საქმისა.

დ. ჴევი და სისხლის საქმეები (41—43)

41

წარკუეთილი გარდაწყუედილობისა მულახ-მუჟალვის და სეტის ჴევთა ბერა ყიფიანის სისხლის საქმის გამო

დრო: მე-14 საუკუნის ბოლო—მე-15 საუკუნის დასაწყისი.
